საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-339

18/04/2019

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის (2019-2023) 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის" სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არ დაქვემდებარების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, 2018 წლის 20 მარტს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა სკრინინგის განცხადება და „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის (2019-2023) 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა".

აღნიშნული სკრინინგის განცხადება და სამოქმედო გეგმის პროექტი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, 2019 წლის 25 მარტს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა (http://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/12483) და ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული მაღალმთიანი დასახლებების მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023" პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ნოემბრის N2-959 ბრძანების თანახმად, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023" არ დაექვემდებარა სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტით არ დგინდებოდა ჩარჩო სამომავლოდ განსახორციელებელი, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობებისათვის, შემუშავების შემდგომ, სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამინისტროში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გასავლელად.

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა იმეორებს სტრატეგიის მიზნებს - მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სერვისების ხელმისაწვდომობა. მისი მოქმედება ვრცელდება „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიან დასახლებაზე.

სამოქმედო გეგმის ამოცანებია: ტურიზმის განვითარების, სოფლის მეურნეობის და სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა, ასევე კომუნალური და საკომუნიკაციო სერვისების ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს, როგორც ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ელექტრონული კომუნიკაციების, ნარჩენების მართვის, ასევე ტურიზმის სექტორს.

გეგმით განსაზღვრული ამოცანების აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ და პარტნიორ ორგანიზაციებს წარმოადგენს, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი და დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებები, ასევე სხვადასხვა უწყება, დონორი ორგანიზაციები და შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული განსახორციელებელი საქმიანობის/საქმიანობების მასშტაბის გაზრდას, საქმიანობის განხორციელების ადგილის ცვლილებას (მათ შორის, გაზრდას), საქმიანობის/საქმიანობების სახეობის, ექსპლუატაციის პირობების ან წარმადობის ცვლილებას), რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის ამავე ნაწილში ჩამოთვლილი სექტორებისათვის.

ვინაიდან, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება ქვეყანაში უკვე არსებულ და დამტკიცებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებშიც უკვე განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გამოყოფილია ბიუჯეტი, ამასთან გეგმა მოიცავს 2019 წლის აქტივობებსაც, რომელთა განხორციელებაც შესაძლოა უკვე დაწყებულია, აღნიშნული სამოქმედო გეგმა არ ადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული კონკრეტული საქმიანობებისთვის, არ განსაზღვრავს მათ მოცულობებსა და მასშტაბებს.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე:</u>

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის (2019-2023) 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის” სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების არ დაქვემდებარების შესახებ;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდებზე და „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიანი დასახლების მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი